ISSN 1512-1801

The 4th Teacher Conference "**University and School**" (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

სტაჟირება, როგორც პროფესიული წინსვლისა და საგაკვეთილო პროცესის მეთოდური მრავალფეროვნების ხელშემწყობი ფაქტორი

ლომთაძე სალომე

სსიპ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათის საჯარო სკოლის გერმანული და ინგლისური ენებისა და ლიტერატურის მასწავლებელი

რეზიუმე

აღნიშნულ სტატიაში საუბარია იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და რა გავლენას ახდენს ის საგაკვეთილო პროცესზე. ხაზგასმით მაქვს აღნიშნული საზღვარგარეთ სტაჟირების ეფექტურობა საკუთარ საქმიანობაში, თუ რა პროგრესის მომტანია ბავშვებთან მუშაობისას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეთოდები და აქტივობები. მათი მრავალფეროვნება უზრუნველყო ბერლინისა და მიუნხენის კვალიფიკაციის ასამაღლებელმა კურსებმა.

სტაჟირების დროს მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით მრავალი აქტივობა განვახორციელე როგორ გერმანული ისე ინგლისური ენის გაკვეთილებზე. აღნიშული გამოცდილება დამეხმარა სწორად წარმემართა სხვადასხვა პროექტები თუ ვიქტორინები ორივე საგანში.

მიუნხენისა და ბერლინის გოეთეს ინსტიტუტთა საკვალიფიკაციო კურსებმა არსებითად შეცვალა ჩემი საგაკვეთილო პროცესი: უკეთ შევძელი აქტივობათა შერჩევა კონკრეტული თემების შესაბამისად, რამაც უზრუნველყო ჩემი აღსაზრდელების მოტივაციის ამაღლება, იმუშაონ უფრო ინტენსიურად.

საკვანძო სიტყვები *: პროფესიული განვითარება, კვალიფიკაციის მაღლება, სტაჟირება.*

დღევანდელ რეალობაში უცხოური ენები **მრავალფუნქციურობით** გამოირჩევა და მათი ცოდნა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ადამიანის თვითდამკვიდრებისათვის საზოგადოებაში. განსაკუთრებული უპირატესობა ენიჭება ინგლისურ და გერმანულ ენებს, რომელთა ფლობა **ასოცირდება ღია კართან ევროპულ** სივრცეში. ადამიანის ამ მდგომარეობის უზრუნველყოფა კი მეტწილად დამოკიდებულია მისსავე კომპეტენტურობაზე. **კომპეტენტურობა** კი, თავის მხრივ, გულისხმობს მასწავლებლის სწორ ორიენტაციას სასწავლო პროცესის წარმართვაში. პროცესი ვერ იქნება სწორად მართული, თუ პედაგოგი ვერ ფლობს კონკრეტული საგნის სწავლების მეთოდიკას და მოსწავლესთან ურთიერთობისათვის **საჭირო ფსიქოლოგიურ ასპექტებს და პროფესიულ ჩვევებს.**

ISSN 1512-1801

The 4th Teacher Conference "**University and School**" (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

პროფესიული საქმიანობის დასაწყისშივე აღმოვჩნდი ჩემთვის არასასურველ კონდიციაში, ანუ ჩემს მიერ ჩატარებული საგაკვეთილო პროცესი ვერ იყო სათანადოდ მართული. შესაბამისად საჭირო იყო მეპოვნა გადაჭრის გზები, რაშიც ყველაზე მეტად დამეხმარა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისა და გოეთეს ინსტიტუტის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ტრენინგები თუ სემინარები.ყველა მათგანი აძლევს პედაგოგს საშუალებას, იმუშაოს საკუთარ თავზე ინტენსიურად მრავალი მიმართულებით. სწორედ ამ მიზნით გადავწყვიტე,2011 წელს მონაწილეობა მიმეღო გოეთეს ინსტიტუტის მიერ მასწავლებელთათვის დაგეგმილ კონკურსში, რომელიც საშუალებას აძლევს კონკურსში გამარჯვებულს კვალიფიკაცია აიმაღლოს გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში. საბედნიეროდ,აღმოვჩნდი კონკურსში გამარჯვებულთა შორის, ანუ გავხდი **გოეთეს ინსტიტუტის სტიპენდიანტი** და 2012 წლის 3 ივნისს გავემგზავრე ბერლინში ორი კვირით. მოდულის დასახელება იყო ,,**თეატრის როლი გერმანული ენის სწავლებაში**".

მოდული გამოირჩეოდა აქტივობათა მრავალფეროვნებით, რომლებიც ორიენტირებული იყო **საგაკვეთილო პროცესში მეთოდიკის სწორად შერჩევაზე** - თუ რომელი აქტივობა იქნებოდა ეფექტური კერძო ენობრივ კომპეტენციაზე სამუშაოდ. გავეცანით სხვადასხვა სახის სახალისო და საინტერესო აქტივობებს **{ე.წ.Warm-up-ს} ანუ გამამხნევებლებს.** აქტივობის ეს ტიპი ყველაზე მეტად ამართლებს გაკვეთილის დასაწყისში ან იმ დროს, როცა ჯგუფი მოდუნებულია. ამასთანავე, ვაკეთებდით კონკრეტული ნაწარმოებების (მაგ. ი.ვ. გოეთეს ,,მოგზაურის ღამის სიმღერა") ან დიალოგების ინსცენირებას. აქტივობის ეს ტიპი გათვლილი იყო როგორც **ინტერაქცია- კომუნიკაციაზე**, ასევე სწორ ინტონაციასა და ლექსიკისა თუ გრამატიკის მართებულად გამოყენებაზე. ვიყენებდით მუშაობის ყველა ფორმას, იქნებოდა ეს ინდივიდუალური, წყვილებში თუ ჯგუფური მუშაობა.

სემინარები მხოლოდ შიდა სასემინარო ოთახში მუშაობით არ შემოიფარგლებოდა. საშუალება გვეძლეოდა გავსულიყავით დედაქალაქის ქუჩებში, სადაც ასევე გარკვეული სამუშაოები დაგვეკისრა. კერძოდ კი, ქალაქის უკეთ გაცნობის მიზნით, ჯგუფებში გადანაწილების შემდეგ თითოეულ ჯგუფს შეგვხვდა ქალაქის სხვადასხვა ნაწილი და გარკვეული კითხვარის საფუძველზე მოვიძიეთ ინფორმაცია ისტორიულ თემატიკასა და თანამედროვე ცხოვრების სტილის შესახებ. სამუშაო მოიცავდა **ქვეყანათმცოდნეობისასპექტებს** და მისი ძირითადი მიზანი იყო **ინფორმაციის გაცვლა.** ფაქტიურად, რამდენიმე საათის განმავლობაში ვალდებული ვიყავით, გაგვეზიარებინა ერთმანეთისთვის საჭირო ინფორმაცია, გაგვეცნო ქალაქი როგორც კონკრეტული ადგილების მონახულებით, ისე სხვა ჯგუფების მიერ მომზადებული პრეზენტაციით. პრეზენტაციის ფორმა იყო ყველაზე საინტერესო: **ინფორმაცია გადავეცით არა ნარატივის ფორმით, არამედ შევიმუშავეთ სცენები, რომლებიც ასახავდნენ არსებულ თუ ყოფილ რეალობას.**

ერთ-ერთ სემინარზე, სხვადასხვა აქტივობაზე დაყრდნობით, გავეცანით ბერთოლდ ბრეხტის შემოქმედებას და მისი ცხოვრების ეტაპებს. ამას მოჰყვა ექსკურსია ბუკოვში

ISSN 1512-1801

ბრეხტისა და მისი მეუღლის ჰელენე ვაიგელის სახლ-მუზეუმში, სადაც საშუალება მოგვეცა, ცხადად გვეხილა ის, რაც ბრეხტს საკუთარი ხელით და გონებით შეუქმნია. საკუთარი თვალით ვიხილეთ ქ-ნ ვაიგელის მიერ ბრეხტის სპექტაკლებზე გამოყენებული კოსტიუმები და რეკვიზიტები.

ბრეხტის სახლ-მუზეუმის ნახვისთანავე გამიჩნდა იდეა, ჩემს მოსწავლეებთან დაბრუნებისთანავე დამეწყო მუშაობა პროექტზე სახელწოდებით **,,კულტურათა შორის".** თემატიკის შერჩევის საშუალებას მაძლევდა არა მხოლოდ სტაჟირების მასალები, არამედ თვით სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ქვეთავი. პროექტზე მუშაობას თითქმის ორი სემესტრი დასჭირდა. როგორც ეს სამუშაო პროცესი მოითხოვს, მასალების შერჩევისას გავითვალისწინე ჯგუფის ასაკი და სამუშაო დონე. მომზადების სხვადასხვა ფაზაში გამოვიყენე ბერლინში სემინარებზე **ნაცადი ხერხები და მეთოდები,** რამაც ძალიან გაამართლა. პროექტის პრეზენტაცია იყო მრავალფეროვანი, ამიტომ დაიკავა ორი საგაკვეთილო საათი.

პროექტის ფარგლებში აღსაზრდელებს გავაცანი ბრეხტის შემოქმედებიდან ერთ-ერთი ქართველებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწარმოები ,,კავკასიური ცარცის წრე", რომლებიც ქართველებმა 700-ჯერ ითამაშეს მსოფლიოს სხვადასხვა სცენაზე. მოსწავლეებს ვაჩვენე სპექტაკლის ვიდეოჩანაწერი.

კვალიფიკაციის ამაღლება თავისთავად მოიაზრებს მიღებული **ცოდნის ტრანსფერს** საკუთარ პრაქტიკაში. მიღებული ცოდნა გამოვიყენე **არა მხოლოდ გერმანული ენის არამედ ინგლისური ენის გაკვეთილებში,** ვიქტორინებსა თუ პროექტებში. მოსწავლეები სიამოვნებით ასრულებდნენ და დღესაც ასრულებენ დაკისრებულ დავალებებს თუ შერჩეულ აქტივობებს. მათ შესრულებაში წამყვანი ადგილი თავად მოსწავლეს უჭირავს, მე როგორც მასწავლებელი ფაქტიურად **ფასილიტატორის** როლში ვარ. რაც მთავარია მუშაობის პროცესი არის ხალისიანი და საინტერესო და არ მონოტონური და მოსაბეზრებელი.

ამ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, რომელთა გათვალისწინება აუცილებელი წინაპირობაა სასწავლო პროცესის წარმართვისას, განსაკუთრებით გამოვყოფდი**სტაჟირებას მიუნხენში.** გაუტინგის/მიუნხენის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, რომელიც საქართველოს მასწავლებელთა სახლმა გოეთეს ინსტიტუტთან თანამშრომლობით განახორციელა, მოიცავდა მოდულს **მეთოდიკა-დიდაქტიკის** კუთხით. ორი კვირის მანძილზე სემინარების მსვლელობისას ვიმუშავეთ ყველა ენობრივ კომპეტენციაში(წერა,კითხვა, მოსმენა, საუბარი) და განვიხილეთ სხვადასხვა ტიპის საინტერესო აქტივობები, რომელთა გამოყენება საგაკვეთილო პროცესის მსვლელობისას სრულად უზრუნველყოფს **მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას ჩართულობის მხრივ.** ამ მრავალფეროვანი მეთოდების ტრანსფერმა ჩემს მიერ ჩატარებულ სასწავლო პროცესში საშუალება მომცა, მიმეღო უკეთესი შედეგები. სემინართა უმრავლესობა, რომლებშიცმონაწილეობა მიმიღია, გერმანულენოვანი იყო, თუმცა ამას

ISSN 1512-1801

ხელი არ შეუშლია, მიღებული ცოდნის ტრანსფერი ინგლისური ენის გაკვეთილებსა თუ პროექტებში მომეხდინა. **საერთაშორისო სტანდარტების** შესაბამისი მეთოდების დანერგვა ჩემს საგაკვეთილო პროცესში ნაყოფიერი აღმოჩნდა.

გოეთეს ინსტიტუტის სემინარებში მონაწილეობამ, საშუალება მომცა, გაკვეთილები უკეთ დამეგეგმა, შემერჩია სათანადო აქტივობები და მოსწავლეთა როლი **დამებალანსებინა**. ბავშვებს საკუთარი ფუნქციები უკეთ აქვთ გააზრებული, თუ ვის რა როლი აკისრია გაკვეთილის მსვლელობისას. მაქსიმალურად ვზრუნავ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე და მათ ყოველდღიურ განწყობაზე.

მიუნხენის სტაჟირებიდან ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური აქტივობა იყო ბუნებაში მუშაობა. აქტივობა **ლექსიკის ათვისებაზე იყო ორიენტირებული,** რომელიც უშუალოდ მცენარეებთან, ხეებთან და მათ ცალკეულ ნაწილებთან შეხებით სრულდებოდა. (ტოტი, წნელი, წიწვი, ნეშომპალა, ქერქი...). იგივე მეთოდით არის შესაძლებელი,მოსწავლეებისათვის ბუნების ხმების აღსაწერად გამოსაყენებელი სიტყვების გაცნობა და დამახსოვრება. დღეს თითქმის იგივე აქტივობის განხორციელება დაგეგმილი მაქვს პროექტზე მომუშავე ჯგუფთან. პროექტი ეხება **ეკოლოგიასა და მდგრად განვითარებას,** რომელსაც საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი **ამიერკავკასიის მასშტაბით** ახორციელებს. შრეჩეულ 30 სკოლას შორის აღმოჩნდა გელათის საჯარო სკოლა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი). პროექტის სახელწოდებაა **„ქსელური მდგრადობა"** და მასში მონაწილეობის უფლების მოპოვება, გარკვეულწილად, განსაზღვრა **პროფესიულ განვითარებაზე ინტენსიურმა ზრუნვამ** და აქტივობათა ჩამონათვალმა, რომლებშიც მონაწილეობა მიმიღია თუ საკუთრივ განმიხორციელებია.

ძალზე საინტერესოა მუზეუმის თემის მორგება საგაკვეთილო პროცესზე. მიუნხენის სემინარებს შორის ერთ-ერთი **სემინარი** მიეძღვნა სასწავლო პროცესის დაგეგმვას **მუზეუმის სივრცეში.** ვეწვიეთ მიუნხენის პინაკოთეკას და დავინაწილეთ სამუზეუმო ექსპონატები-(დალის, პიკასოს, მაგრეტის და სხვ.), ძირითადად ფერწერული ტილოები. უნდა განგვესაზღვრა და **აღგვეწერა საკუთარი ხედვით** ავტორის ეპოქა, სიტუაცია, ჩვენი დამოკიდებულება ნაწარმოების მიმართ, ჩვენი წარმოსახვითი ადგილი ნახატზე. **აქტივობის მიზანი იყო ინტერაქცია უცხოურ ენაზე**, **პრეზენტაციის უნარის** წარმოჩენა, **არგუმენტირებული მსჯელობა** და საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება თემატიკასთან კავშირში და ა. შ.

ვერ ვიტყვი, რომ ეს თემა პროექტად ან ინტეგრირებულ გაკვეთილად ვაქციე, მაგრამ ინგლისური ენის გაკვეთილზე მსგავსი აქტივობები მოსწავლეებს შევასრულებინე ჩემ მიერ შეთავაზებულ შედარებით მარტივ ნახატებზე დაყრდნობით, რადგან სამუშაო ენობრივი დონე იყო A1.2. მსგავსი ტიპის დავალებები ყოველთვის საინტერესოა აღსაზრდელებისთვის და ამ სიახლეზეც ინტერესით იმუშავეს.

ყოველთვის ვცდილობ, მოვიძიო და დავნერგო სიახლე საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში. მასწავლებლის **პროფესიული განვითარება უწყვეტი პროცესია,** რომელიც უზრუნველყოფს

ISSN 1512-1801

კარგად დაგეგმილ და განხორციელებულ გაკვეთილს. მასწავლებელს ევალება, საკუთარი გამოცდილება სწორად შეუსაბამოს მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ პროფესიული განვითარების ყველა ეტაპზე მიღებული ცოდნა ჩემს პრაქტიკაში **პროდუქტიულად დავნერგე**,რაც აისახა მოსწავლეთა შედეგებზე და მათ **დამოკიდებულებაზე შესასწავლი საგნის მიმართ.**

გამოყენებული საინფორმაციო რესურსები:

1. კომპიუტერი;
2. საპრეზენტაციო პროგრამა Microsoft Power Point;
3. კომპიუტერული პროგრამები: Microsoft Word;
4. ფლეშ-მეხსიერება;
5. ინტერნეტი;
6. პრინტერი;
7. DVD დისკი;
8. ციფრული ფოტოაპარატი;
9. საძიებო სისტემა Google.ge / Google. Ru / Google.de;
10. საძიებო სისტემა You Tube;
11. გერმანიის გოეთეს ინსტიტუტის სემინარების მასალები, მოდული - ,,Theater im DaF-Unterricht" (,,თეატრი გერმანულის გაკვეთილზე"), მოდული- ,,მეთოდიკა - დიდაქტიკა" (Methodik-Didaktik im DaF-Unterricht);